

# დაავადებათა მართვის ეროვნული პროტოკოლი

(რეკომენდებული ფორმატი)

## 1. პროტოკოლის დასახელება

## 2. პროტოკოლით მოცული კლინიკური მდგომარეობები და ჩარევები

მიუთითეთ ყველა კლინიკური მდგომარეობა, ჩარევა და მომსახურება, რომელიც პროტოკოლშია აღწერილი

დასახელება	კოდი
1 კლინიკური მდგომარეობის დასახელება	კოდი ICD 10/ ICPC2
2 ჩარევის დასახელება	NCSP
3 ლაბორატორიული მომსახურების დასახელება	კოდი მოქმედი კლასიფიკაციის მიხედვით

## 3. პროტოკოლის შემუშავების მეთოდოლოგია

ა) პროტოკოლი შემუშავებულია [მიუთითეთ წყარო გაიდლაინის (ების) ზუსტი დასახელება, გამოცემის თარიღი] საფუძველზე, ბიბლიოგრაფიის მართვისთვის გამოიყენეთ APA სტილი.

ბ) მიუთითეთ შეიტანა თუ არა პროტოკოლის ავტორთა ჯგუფმა რაიმე ცვლილება ორიგინალური გაიდლაინის რეკომენდაციებში და რატომ. ორიგინალური და შეცვლილი რეკომენდაციები და ცვლილების დასაბუთება წარმოადგინეთ დანართი 1-ში.

გ) თუ პროტოკოლს ავტორთა ჯგუფს ორიგინალური გაიდლაინის რეკომენდაციები არ შეუცვლია, გააკეთეთ ამის შესახებ ჩანაწერი მეთოდოლოგიის ნაწილში.

## 4. პროტოკოლის მიზანი

პროტოკოლის მიზანია [მიუთითეთ კონკრეტული სფერო/მომსახურების სახე/კლინიკური მდგომარეობა] მართვის ხარისხის გაუმჯობესება.

## 5. სამიზნე ჯგუფი

პროტოკოლის რეკომენდაციები შეეხება:

[ რა ასაკის პაციენტებს და რომელი სამედიცინო პრობლემით]

## 6. ვისთვის არის პროტოკოლი განკუთვნილი

პროტოკოლი განკუთვნილია:

[რომელი სამედიცინო სპეციალობის და რა ტიპის სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალისთვის]

## **7. სამედიცინო დაწესებულებაში პროტოკოლის გამოყენების პირობები**

[სამედიცინო დაწესებულების რომელ ქვედანაყოფში უნდა მოხდეს პროტოკოლის გამოყენება-მიმღები, საოპერაციო, პალატა და სხვ.]

[პროტოკოლის გამოყენება იწყება პაციენტის ჰოსპიტალიზაციისთანავე ან ჰოსპიტალიზაციიდან ან მომართვიდან რა ვადაში (სთ)]

## **8. რეკომენდაციები**

მარტივი და გასაგები ენით ჩამოაყალიბეთ ყველა კლინიკური რეკომენდაცია. გამოიყენეთ ალგორითმები, რაც ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებას. თუკი ეს შესაძლებელია მიუთითეთ რამდენად ხარჯთ-ეფექტიანია რეკომენდაციაში აღწერილი ჩარევა.

## **9. მოსალოდნელი შედეგები**

მიუთითეთ ყველაზე მნიშვნელოვანი კლინიკური გამოსავლები, რომელთა გაუმჯობესებაც პროტოკოლის გამოყენების საფუძველზე ელოდებით. მაგ. პოსტოპერაციული თრომბოფლებიტი ავადობის შემცირება; ასპირაციული პნევმონიით ავადობის შემცირება; მიოკარდიუმის ინფარქტით გამოწვეული სიკვდილობის შემცირება და ა.შ.

## **10. აუდიტის კრიტერიუმები**

რა კრიტერიუმებით შეაფასებთ მოხერხდება თუ არა მოსალოდნელი კლინიკური გამოსავლების მიღწევა ან მომსახურების პროცესებს გაუმჯობესება?

მაგ. პაციენტების რა %-ს ჩაუტარდა რეკომენდებული ინტერვენცია მითითებულ ვადებში

პაციენტების რა %-ში მოხერხდა სასურველი კლინიკური გამოსავლის მიღწევა

აუდიტისთვის შერჩეული საზომები მარტივად შესაგროვებელი და თვლადი უნდა იყოს, რაც შესაძლებელს გახდის რუტინულად მის განხორციელებას. აუდიტის კრიტერიუმები შეიძლება შეეხებოდეს სამედიცინო მომსახურების სტრუქტურას, პროცესსა და გამოსავლებს. წარმოადგინეთ ფორმა, რაც აუდიტისთვის საჭირო ინფორმაციის მარტივად შეგროვების საშუალებას მოგცემთ.

## **11. პროტოკოლის გადახედვის ვადები**

მიუთითეთ რა ვადაში უნდა მოხდეს პროტოკოლის გადახედვა და განახლება. მაგ. თუ წყარო გაიდლაინის გადახედვა ორი წლის ვადაშია დაგეგმია, მიზანშეწონილია, რომ პროტოკოლიც ამავე ვადაში გადაიხედოს.

**12. პროტოკოლის დანერგვისთვის საჭირო რესურსი**

მიუთითეთ *[კლინიკური მდგომარეობის მართვა/სხვა მომსახურების სახე]* განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი დანართი 2-ში მითითებული ფორმით.

**13. რეკომენდაციები პროტოკოლის ადაპტირებისთვის ადგილობრივ დონეზე**

მიუთითეთ, რამდენად მისაღები იქნება რომ პროტოკოლის რეკომენდაციები სამედიცინო დაწესებულების დონეზე, იქ არსებული რესურსისა და ტექნოლოგიების შესაბამისად შეიცვალოს.

დანართი 1. რეკომენდაციების ადაპტირების აუცილებლობის დასაბუთება

წყარო გაიდლაინის რეკომენდაცია	ადაპტირებული ვარიანტი	განმარტება
რეკომენდაცია 1	რეკომენდაცია 1 (ა)	რატომ მოხდა რეკომენდაციაში ცვლილების შეტანა <i>[არ შეიძლება შეეხებოდეს რეკომენდაციებს, რომელიც ემყარება მაღალი ხარისხის მტკიცებულებებს; ადაპტირებას იოლად ექვემდებარება კონსენსუსზე ან შედარებით დაბალი ხარისხის მტკიცებულებებზე დამყარებული რეკომენდაციები]</i>

დანართი № 2 ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

რესურსი	ფუნქციები/მნიშვნელობა	შენიშვნა
ადამიანური [მიუთითეთ ნებისმიერი პერსონალი, ვინც პროტოკოლის დანერგვაში უნდა მონაწილეობდეს]	<b>აღწერეთ რა მიზნით ხდება ამათუ იმ რესურსის გამოყენება</b>	<b>რამდენად სავალდებულოა ამ რესურსის არსებობა</b>
<b>მიუთითეთ სპეციალობა მაგ. XXX ექიმი</b>	კლინიკური შეფასება დიაგნოზის დადასტურება პრევენციული ღონისძიებების შერჩევა მედიკამენტური მკურნალობის თაობაზე გადაწყვეტილება მიმდინარე მეთვალყურეობა	
<b>ექთანი</b>	მაგ. რისკის პროფილის შეფასება რისკ-ფაქტორების, არამედიკამენტური მკურნალობის, პრევენციისა და მედიკამენტების გვერდითი ეფექტების თაობაზე პაციენტის კონსულტირება;	
<b>რეგისტრატორი</b>	მაგ. მიმდინარე მეთვალყურეობისთვის პაციენტების გამომახების უზრუნველყოფა.	
<b>მენეჯერი/ადმინისტრატორი</b>	მაგ. პროტოკოლის დანერგვის ხელშეწყობა; დანერგვაზე მეთვალყურეობა; აუდიტის ჩატარება და შედეგების ანალიზი	
<b>მატერიალურ-ტექნიკური</b>		
<b>რისკის შეფასების სქემა</b>	რისკის პროფილის შეფასება	სავალდებულო
<b>ლაბორატორია სისხლის საერთო, შარდის საერთო ანალიზის და ა.შ. ჩასატარებლად</b>	მიუთითეთ რა მიზნით	სავალდებულო ან სასურველი
<b>სადიაგნოსტიკო აღჭურვილობა (მაგ. რენტგენი, ულტრაბგერა, ეკგ და სხვ)</b>	დიაგნოზის დადასტურება რისკის შეფასება მიმართვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება და სხვ.	სავალდებულო ან სასურველი
<b>პაციენტის საგანმანათლებლო მასალები.</b>	პაციენტის ინფორმირება	სასურველი